შპს „ელ-ლა"

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	915	554	10685
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	501643	602652	574705
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	544893	100950	0
მარაგები			0
მზა პროდუქცია			0
სხვა			0
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3870	2311	23560
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები			0
ძირითადი საშუალებები	503757	478800	374129
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1517	84199	83953
სულ აქტივები	**1556595**	**1268666**	**1067032**

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება		21824	0
სავაჭრო ვალდებულებები	88475	195283	574110
ანარიცხები	6772		0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4439	2270	0
საგადასახადო ვალდებულებები	624		0
გამოუმუშავებელი შემოსავალი			0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1000690	659483	0
მიღებული გრანტები			0
სხვა ვალდებულებები			56570
სულ ვალდებულებები	**1101000**	**878860**	**630680**

საკუთარი კაპიტალი

'კაპიტალი'			0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	455595	389806	436352
სულ საკუთარი კაპიტალი	**455595**	**389806**	**436352**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**1556595**	**1268666**	**1067032**
სულ მოკლევადიანი აქტივები	3871	2311	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	7397	0	56570

დირექტორი ბექა ხურციძე

შპს „ელლას" ს/კ 400222683 საქმიანობის შედეგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	**31/12/2023**	**31/12/2022**
ნეტო ამონაგები	2246690	5540791
საქონლის გაყიდვიდან		0
მომსახურების გაწევიდან	2199366	5540791
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0
სხვა	47324	
გაყიდვების თვითღირებულება		
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	**2246690**	**5540791**
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-143546	-126225
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-57901	-51005
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-65184	-26727
იჯარის ხარჯი	-17633	-11807
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1903835	-5324089
სულ საოპერაციო ხარჯები	-2188099	-5539853
საოპერაციო მოგება	**58591**	**938**

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-12932	70416
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-2263	-110951
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	**43396**	**-39597**

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	389806	36352
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	22393	-6949
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0
	455595	**389806**

დირექტორი ბექა ხურციძე

1. შესავალი

1.1. კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანია რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 14 ნოემბერს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი - 400222683.

2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორები და დამფუძნებელი-პარტნიორები (50-50% წილით) არიან ფიზიკური პირები:

- ბექა ხურციძე, 01024064969 - 50%, და
- მაქსიმე ბოლქვაძე, 01025019863 - 50%

შპს ელ-ლა-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ნიკოლოზ ტიხონოვის ქუჩა 20 „ა".

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვები. კომპანია საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალებადობასთან. ამასთან საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას. მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

1.3. გადასახადები

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

1.4. სასამართლო დავები

2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1. მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტის) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელზე.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა განგრძობითი საწარმოს საფუძველზე.

2.2. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიმდინარე აქტივები (1556595 ლარი) 455595ლარით აღემატება მიმდინარე ვალდებულებს (1101000 ლარი).

2023 წელი კომპანიამ შეძლო წინა წლის მონაცემების გაუმჯობესება და წელი დაამთავრა მოგებით - 43396 ლარი (წინა წელი კომპანიას დასრულებული ქონდა ზარალით - 39597 ლარი). კომპანიას მიმდინარე წლის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები საშუალებას აძლევს დაფაროს მიმდინარე ვალდებულები და აანაზღაუროს მიმდინარე საოპერაციო ხარჯები. მიმდინარე წლის დასაწყისისთვის კომპანიას გააჩნდა გაუნაწილებელი მოგება 455595 ლარი, რომელიც 2024 წლის მიმდინარე მონაცემების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს 2024 წლის დარჩენილი პერიოდის ხარჯების დაფარვას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების კომბინაცია კომპანიისთვის უზრუნველყოფს აუცილებელ ლიკვიდურობას, თავისი ოპერაციების გასაგრძელებლად 2024 წლის შემდგომ პერიოდშიც.

2.3. წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. საანგარიშო პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31.12.2022	**31.12.2023**
USD/GEL	2,7020	2.6984
EUR/GEL	2.8844	2.9753

3. <u>მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები</u>

3.1. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

3.2. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ

დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება თუკი მოხდება აქტვის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

3.3. ცვეთა

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	10
სხვა ძირითადი საშუალებები	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია. კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება წლის ბოლოს. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

3.4. შემოსავლის აღიარება

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან აღირიცხება მიღებული ან მისაღები ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის/საქონლისთვის ფასდათმობის, უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს ქვეყანაში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ როდესაც არსებობს საფუძველი რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

3.6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.7. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონომდებლობის მიხედვით.

კერძოდ, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. მოგების გადასახადით დაბეგვრა მოხდება კანონის შესაბამისად ,ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის
3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.8. მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ნედლეული და მასალები, რომლებიც განკუთვნილია მომსახურების გასაწევად (ტრანსპორტირება, რემონტი) ძირითადი საშუალების მუშა მდგომარეობის უზრუნველსაყოფად და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.
საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას მარაგების ნაშთი არ გააჩნია.

3.9. წინასწარი გადახდები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლისმიღება. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას. კომპანიის გადახდილ ავანსს ძირითადად წარმოადგენს ქვეკონტრაქორი კომპანიებისათვის გადახდილი თანხები.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი რომ ვერ მოხდება საქონლის მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

3.10. დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დივიდენდი არ გაცემულა.

3.11. სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

3.12. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3.13. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში

კომპანიას საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული არა აქვს. 2023 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ მომხადარა.

4. <u>მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები დაშვებები და შეფასებები</u>

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება მოსალოდნელი წარმადობა სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ძირითადი საშუალებები, შპს „ელ-ლა" ს/ნ 404222683

დასახელება	31/12/2022	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	31/12/2023
	ღირებულება				ღირებულება
სატრანსპორტო საშუალებები	478000	83953		58196	503757
სხვა	84199	1271	83953	0	1517
სულ ძირითადი საშუალებები	562199	85224	83953	58196	505274

დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან

დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სავაჭრო მოთხოვნები	501643	602652
სულ დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან		602652

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
თანხა სალაროში	0	0
თანხა ბანკში	915	554
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	915	554

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 88475 ლარს და ძირითადად მოიცავს დაქირავებულ სატრანსპორტო კომპანიებზე დარიცხულ ვალდებულებებს.

ზემოთ ნახსნები ვალდებულებების პირობები:
სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;

სასესხო ვალდებულებები

კომპანიას საბანკო დაწესებულებიდან აღებული აქვს გრძელვადიანი სესხები.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2023
გრძელვადიანი სესხი	681504	1000690
სულ სესხის ვალდებულებები	681504	1000690

შემოსავალი
2023 წლის შემოსავალი 2246690 ლარის ოდენობით მოიცავს ამონაგებს მომსახურებიდან 2199366 ლარს და სხვა შემოსავლებს - 47324 ლარი-მ.შ პირგასამტეხლო 45824 ლარი და სადაზღვევო კომპანიის მიერ ზარალის ანაზღაურებას 1500 ლარი.

5. <u>პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები</u>

საგადასახადო კანონმდებლობა
საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას ასევე შესაძლებელია რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა მომავალში გახდეს დავის საგანი რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები ჯარიმები და პროცენტები . აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში საგადასახადო ორგანოს მიერ შესწავლილ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით კომპანიის მიმართ პრეტენზია და რაიმე სახის ვალდებულების დაკისრებას ადგილი არ ქონია.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად არ მომხდარა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

ფინანსური რისკის მართვა
კომპანია განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში, რომელიც მოიცავს საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთების რისკებს. ამასთან კომპანია პერმანენტულად ახორციელებს სამუშაოებს საოპერაციო რისკების მინიმიზაციის კუთხითაც.

საკრედიტო რისკი
კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი
საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი
საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია არ ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა მიაღწიოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ მიზნებს და შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეთა ნდობა.

ხელმომწერი პირები: ბექა ხურციძე, დირექტორი / _____ /